პრევენციული მედიცინის ეკონომიკური ეფექტიანობა: ინვესტიციების გავლენა სამკურნალო ხარჯებზე

ლინდა მარენიჩი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლინდა მარენიჩი

30.05.2025

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია პრევენციულ მედიცინაში განხორციელებული ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ პრევენციული ღონისძიებები გრძელვადიან პერსპექტივაში ხშირად ხარჯთეფექტიანად ითვლება, ბიუჯეტში მათი წილი კვლავ მცირეა. კვლევის მიზანია დაადგინოს, რამდენად ეკონომიკურად გამართლებულია პრევენციული მედიცინის დაფინანსება და როგორ აღიქვამს ამ საკითხს საზოგადოება და დარგის სპეციალისტები.

კვლევა ეფუძვნება შერეულ მეთოდოლოგიას. თვისებრივი მონაცემები ხუთ რესპოდენტთან შეგროვდა, სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე, რომელებიც მიზნობრივად შეირჩნენ. რაოდენობრივი მონაცემები მიღებულ იქნა 155 რესპოდენტისაგან სტანდარტიზებული კითხვარის მეშვეობით. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა რეგრესული მეთოდის შესაბამისად.

თვისებრივი კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ პროფესიონალები ერთხმად მიიჩენევენ პრევენციული მედიცინას როგორც ეკონომიკურად გამართლებულ ინსტრუმენტს ხანგრძლივ პერსპექტივაში, თუმცა ხაზს უსცამენ ბიუროკრატიულ ბარიერებს, არასათანადო დაფინანსებას და პრიორიტეტების არასწორ გადანაწილებას. რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს პრევენციულ მედიცინას მნიშვნელოვან საკითხად, თუმცა მათგან მხოლოდ მეოთხედი თვლის, რომ ეს მიმართულება სახელმწიფო მხრიდან შესაბამისად არის პრიორიტიზებული.

კვლევის შედეგებში იკვეთება მკაფიო გავლენა დასაქმების სტატუსისა და გეოგრაფიული მდებარეობის ჭრილში. შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში პრევენციული მედიცინის ეკონომიკური პოტენციალი არ არის სრულად უტილიზებული. როგორც დარგის სპეციალისტები, ასევე მოსახლეობა აღნიშნავს ჯანდაცვის სისტემის ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების არათანაბარ გადანაწილებაზე. არსებული

მიდგომების გადახედვამ და ახალი სტრატეგიების შემუშავებამ შესაძლოა გაზარდოს ჯანდაცვის სისტემის მდგრადობა და შეამციროს სამკურნალო ხარჯები. ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და პრიორიტეტების დადგენის პროცესისათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პრევენციული მედიცინა, ეკონომიკური ეფექტიანობა, ჯანდაცვის სისტემა.

Abstract

Thesis explores the economic efficiency of investments in preventive medicine in Georgia. Although preventive interventions are often considered cost-effective in the long term, their share in the national healthcare budget remains limited. The aim of the study is to assess the economic justification for financing preventive medicine and to examine how this issue is perceived by both the general public and healthcare professionals.

The research is based on a mixed-methods approach. Qualitative data were collected through in-depth interviews with five selected experts in this field. Quantitative data were obtained from 155 respondents using a standardized questionnaire. The quantitative analysis employed regression methods to identify singificant trends and correlations.

The qualitative analysis revealed a strong consensus among experts regarding the long-term economic justification of preventive medicine. However, participants emphasized bureaucratic barriers, insufficient funding and the misallocation of priorities within the healthcare system. The quantitative findings showed that the majority of respondents perceive preventive medicine as important, yet only one-fourth beleive that it is adequately prioritized by the government. The analysis also showed a clear influence of employmet status and geographic location on attitudes toward preventive healthcare.

The results indicate that the economic potential of preventive medicine in Georgia is not being fully utilized. Both healthcare professionals and the public highlight the unequal distribution of financial and administrative resources within the system. Revisiting existing approaches and developing new strategies could enhance the sustainability of the healthcare system and reduce treatment-related expenditures. This thesis contributes to the policy development process by offering evidence-based insights for prioritizing preventive care within the national healthcare agenda.

Key Words: Preventive medicine, economic efficiency, healthcare system.

მადლობა

მსურს მადლიერება გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, ვინც სამაგისტრო კურსის ფარგლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩემს განათლების მიღებაში.

უპრიველეად, მსურს გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემს სამაგისტრო ხელმძღვანელს - ქალბატონ ქეთევან გოგინაშვილს, მისი მუდმივი მხარდაჭერისა და პროფესიონალიზმისთვის. მის მიერ გაზიარებულმა ცოდნამ, გამოცდილებამ და რჩევებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა როგორც კვლევის პროცესის სწორად წარმართვაში, ისე ნაშრომის სრულყოფილ ფორმირებაში.

განსაკუთრებული მადლიერებით მსურს გამოვეხმაურო ყველა იმ ექსპერტს და კვლევის მონაწილეს, რომლებმაც თავიანთი ცოდნა, დრო და გამოცდილება დაუთმეს ჩემს ნაშრომს. მათი წვლილი ფასდაუდებელია. გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო რანდენიმე მათგანს: დავითი დათუსანი, თამარ ჭელიძე, თენგიზ ვერულავა, ირინე სახელაშვილი, ნინო გამტკიცულაშვილი.

აკადემიური წრის მიღმა, ღრმა მადლიერებით მოვიხსენიებ ჩემს ოჯახსა და მეგობრებს, რომლებმაც გამოხატეს ფასდაუდებელი მხარდაჭერა და თანადგომა, რომელმაც ჩემს მოტივაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

ნაშრომი წარმოადგენს ამ ადამიანების ერთობლივი ძალისხმევის შედეგს, რომლებმაც სხვადასხვა გზით ხელი შეუწყვეს ჩემს პროფესიულ და პირად განვითარებას.